

კონკურსი

სტრუქტურული ერთეული: საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში
პოზიციის სრული დასახელება: ოპერატორი
სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი
სამუშაო ადგილი: ბათუმი
შრომის ანაზღაურება: შეთანხმებით
გამოსაცდელი ვადა: 6 თვე

კონკურსის ფარგლებში ხორციელდება ოპერატორის შერჩევა, რომელსაც საკუთრებაში გააჩნია გამართული ვიდეო კამერა, რომლის მინიმალური მახასიათებლები უნდა იყოს: Full HD 1920x1080 ღამის გადაღების რეჟიმი; ფართო კუთხიანი გადაღების რეჟიმი; მატრიცის ტიპი - CMOS მატრიცის რაოდენობა - 1 მატრიცა - 3.43 მეგაპიქსელი ობიექტივის ფოკუსური მანძილი - 18 - 200 მმ. ოპტიკური ზუმი - 11.1x დიაფრაგმა - F3.5 - F6.3 ფილტრის დიამეტრი - 67 მმ. ჩაწერის ფორმატი - 1080i, 1080p ავტოექსპოზიცია; დამატებითი შესაძლებლობები - ჩაწერა MPEG4, ჩაწერა MPEG2 მეხსიერების ბარათების მხარდაჭერა - SD, SDHC, SDXC, MS Duo.

შენიშვნა: დაზიანების შემთხვევაში კამერის შეკეთების ხარჯებს დამსაქმებელი არ გაიღებს.

ძირითადი მოთხოვნები:

- ✓ ოპერატორად მუშაობის სულ მცირე 2 წლიანი გამოცდილება;
- ✓ ვიდეომონტაჟისთვის აუცილებელი სპეციალური პროგრამების ცოდნა;
- ✓ მოწესრიგებულობა, დეტალებზე ორიენტირებულობა;
- ✓ დროის ეფექტიანად დაგეგმვა/განაწილება;
- ✓ გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი.

სამუშაოს აღწერილობა:

- ✓ დროულად და ხარისხიანად განახორციელოს შეთანხმებული მასალის მომზადება (უშუალოდაა პასუხისმგებელი გადაღებული მასალის ვიზუალურ მხარეზე);
- ✓ პროდუქციის შექმნისას (ინტერვიუს ჩაწერის, სიუჟეტის გადაღების და აშ. დროს) უზრუნველყოს ტექნიკური მხარის გამართულობა (განათება, მიკროფონი და აშ.);
- ✓ განახორციელოს პრევენციული (წინა მოსამზადებელი) ღონისძიებები, დაგეგმილი ან/და დაუგეგმავი შესასრულებელი სამუშაოების ხარისხიანი (შეუფერხებელი) შესრულება;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში მზად იყოს რეპორტიორის სამუშაოს შესასრულებლად;
- ✓ ახორციელებს გადაღებული მასალის მონტაჟს ან/და გრაფიკულ გაფორმებას;
- ✓ ასრულებს სამსახურის უფროსის ან უფროსის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ის მითითებებს.

დამატებითი მოთხოვნები:

- ✓ კონკურსის ფარგლებში მოთხოვნილი ტექნიკური საშუალება უნდა იყოს ვარგისი ხანგრძლივი (სულ მცირე 1 წელი) გამოყენებისათვის;
- ✓ სამუშაო გამოცდილების ნაწილი (სულ მცირე 3 თვე) მაინც უნდა მოიცავდეს სატელევიზიო პროდუქტის შექმნას;

წარმოსადგენი ინფორმაცია:

- ✓ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან ID ბარათის ასლი;
- ✓ საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ვიდეო-კამერის ტექნიკური პასპორტის ასლი და ფოტომასალა;
- ✓ რეზიუმე (CV);
- ✓ უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში)

კონკურსის ეტაპები:

პირველი ეტაპი - განცხადების გადარჩევა;

მეორე ეტაპი - გასაუბრება.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

განაცხადები განიხილება სპეციალური კომისიის მიერ ქულათა სისტემით.

განაცხადები მიიღება 2019 წლის 22 მარტიდან 2019 წლის 05 აპრილის ჩათვლით, ელექტრონულად.

გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადა: 2019 წლის 30 აპრილი.

საკონტაქტო პირი:გია ქარცივაძე

საკონტაქტო ინფორმაცია:593 34 54 34

საკონტაქტო ელ-ფოსტა:HR@ajaratv.ge

შენიშვნა:

1. დაინტერესებულმა პირმა გამოგზავნილი ელ-ფოსტის სათაურში (subject) უნდა მიუთითოს ვაკანტური პოზიციის (ოპერატორი) დასახელება;
2. კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის განაცხადების რეგისტრაციის შესახებ) დაინტერესებულ პირს მიეწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;